ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები

ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები

გაკვეთილების გეგმები მომზადებულია USAID -ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში

ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები

ავტორები:

ბაკურ ხიჯაკაძე

მანანა ჯინჭარაძე

სოფო ბაჩილავა

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:

მაკა ბიბილეიშვილი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

2023 წ.

რესურსი მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ რესურსში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრებათ ავტორებს და ის არ წარმოადგენს PH International-ის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

2022-2027 წლებში ორგანიზაცია PH International-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის დანერგვის ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას. საქართველოს მასშტაბით გაერთიანებული პარტნიორი ორგანიზაციები, პროგრამის ფარგლებში გადანაწილებული ფუნქციური დატვირთვით, ხელს უწყობენ მიზნის მიღწევას.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, როგორც პროგრამის პარტნიორი ორგანიზაცია, ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების სწავლებისა და სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა თანამშრომლობითი და სკოლაში დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას. ამ მიზნით, სხვა აქტივობებთან ერთად, ფორუმი ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს.

წინამდებარე ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები მომზადებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. იგი ხელს უწყობს ინტერდისციპლინური სწავლების გაძლიერებას და მიზნად ისახავს მოსწავლეებში სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებას. ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები სარეკომენდაციო ხასიათისაა და განკუთვნილია სამოქალაქო განათლების, ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის. გაკვეთილის გეგმები ეხება **თემებს**: გლობალური მოქალაქეობა, XIX საუკუნის ლიტერატურა; რეალიზმი; ცენტრალური ხელისუფლება; ადამიანი და მისი ცხოვრება; თემი, რომელშიც ვცხოვრობთ; შენდობა; ანტიკური ეპოქა. ამ თემების ფარგლებში დამუშავებულია **საკითხები:** ბავშვთა უფლებები; დანაშაული; ინდივიდუალური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა; საწყისები და თანამედროვეობა; ტოტალიტარიზმი და ადამიანი; სოციო-კულტურული გარემო და სასიცოცხლო კომპეტენციები.

გისურვებთ წარმატებებს!

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა N1

საგანი	მოქალაქეობა	ქართული ლიტერატურა
კლასი	VII კლასი	
თემა	თემი, რომელშიც ვცხოვრობთ	შენდობა
საკითხი	დანაშაული	
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლეები ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „ბოშების“ პერსონაჟები გახდებიან და დანაშაულს განიხილავენ სხვადასხვა კუთხით	
საკვანძო შეკითხვა	• როდის მიიჩნევა ქმედება დანაშაულად? • რა არის საჭირო იმისათვის, რომ ბრალდებულს დანაშაულის ჩადენა დაუმტკიცდეს? • როგორი უნდა იყოს მტკიცებულება? • როდის უნდა მიმართოს მოქალაქემ სამართალდამცავ ორგანოს?	• რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი? • რამ განაპირობა სოფლის მაცხოვრებლების ასეთი საქციელი პოლიციასთან საუბრისას? • რატომ ცდილობს მთხრობელი ბოშათა გამართლებას? • რატომ იყვნენ სოფლის მაცხოვრებლები, პოლიციის განყოფილებიდან შინ დაბრუნებისას, თავიანთი საქციელით კმაყოფილნი და თან დამწუხრებულნი?
წინა გაკვეთილებზე გავლილი მასალა	• არასრულწლოვანი და დანაშაული	• ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ბოშები“

აქტივობის N, სახელი და ხანგრძლივობა	**აქტივობის მიზანი**	**აქტივობის მსვლელობა**	**რესურსი**
N1 გაკვეთილის მიზნის გაცნობა დრო: 2 წუთი	მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა	მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობით; მაგალითად, წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს	ვიზუალური მასალის შექმნისთვის **მატერიალური მასალა** (სასურველია): ფერადი ფურცლები, მარკერები, ქაღალდის წებოვანი ლენტი
N2 სამართალი და მორალი დრო: 5 წუთი	მოსწავლეები სხვადასხვა ცნებას მიუსადაგებენ მორალსა და სამართალს, რათა მკვეთრად გამიჯნონ თითოეული მათგანი	**რომლის სფეროა?** მასწავლებელი მოსწავლეებს სავარჯიშო ფურცლებს ურიგებს, რომელზეც ცნებები და ცხრილია დატანილი. მოსწავლეებმა ცნებები შესაბამის გრაფაში უნდა შეიტანონ სამართალი | მორალი | | ცნებები: ზრდილობა, სიკეთე, დანაშაული, სასჯელი, სათნოება, დაკავება, შენდობა, წყენა, კანონდარღვევა, გასამართლება.	დაფა, ცარცი

<table>
<tr>
<td>N3

ნამდვილი გმირი

დრო: 10 წუთი</td>
<td>მოსწავლეები მოთხრობის პერსონაჟის გადაწყვეტილების მორალურ და სამართლებრივ მხარეებზე იმსჯელებენ</td>
<td>ლევარსი ბერეჟიანი, სათნო, კეთილი და.. სამართალმცოდნე?
მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, კიდევ ერთხელ გადაავლონ თვალი მოთხრობის ბოლო ნაწილს, სადაც პერსონაჟ ლევარსი ბერეჟიანის პოლიციელთან გასაუბრებაა გადმოცემული. შემდეგ მოსწავლეებმა ცხრილის სახით უნდა წარმოადგინონ ლევარსი ბერეჟიანის მოქმედების მორალური და სამართლებრივი მხარე

<table>
<tr><td>მორალური მხარე</td><td>სამართლებრივი მხარე</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
</table>

სამართლებრივი მხარის აღსაწერად მოსწავლეები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლებს უნდა გაეცნონ:
** ტექსტი ადაპტირებულია მოსწავლეთა ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით
სასამართლომ ადამიანი დამნაშავედ შეიძლება ცნოს მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობაზე დაყრდნობით (3.13)

მტკიცებულება – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, საგანი, დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი. (3.23)

პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით (5.1)</td>
<td>მატერიალური მასალა:

ფურცლებზე ამობეჭდილი ცხრილი და სისხლის სამართლის მუხლები

ბოშები</td>
</tr>
</table>

		****სამართლებრივი მხარის შევსებისას მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ უტყუარი მტკიცებულების გარეშე პოლიცია ბრალს ვერ წაუყენებდა ბოშებს და დანაშაულიც ვერ დამტკიცდებოდა. სწორედ ამიტომ, ლევრასი ბერეჟიანმა აცნობა პოლიციელებს, რომ საქონელი მოპარული კი არა, გაცვლილი ან გაჩუქებული იყო	
N4 განხილვის პროცესი დრო: 25 წუთი	მოსწავლეები მოირგებენ სხვადასხვა აქტორის როლს და მოთხრობაში მომხდარ ამბავს სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავენ	**დანაშაულია თუ არა?** მასწავლებელი კლასს ოთხ ჯგუფად დაყოფს და დაურიგებს ფურცლებს, რომლებზეც მოცემულია როლი და მსჯელობის მიმართულება. ჯგუფებმა უნდა მოირგონ შესაბამისი როლი და არგუმენტები მოამზადონ პოზიციის დასამტკიცებლად; ჯგუფებს პოზიციის მომზადებისთვის 10 წუთი ეძლევათ, პოზიციის გადმოსაცემად - თითო ჯგუფს 3 წუთი; მსაჯულების ჯგუფს პოზიციის მოსამზადებლად ეძლევა 4 წუთი, პოზიციის გადმოსაცემად კი - 2 წუთი; პოზიციების წარმოდგენის რიგითობა: 1 - ბრალმდებლები, 2 - დამცველები, 3 - ბოშები, 4 - მსაჯულები I ჯგუფი - ბრალმდებლები ბოშების მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაულია, რადგან.... მსჯელობისას გამოიყენეთ დანაშაულის განმარტება: დანაშაული არის საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც კანონით ისჯება. არგუმენტები მოიყვანეთ იმის შესახებ, თუ რამდენად ჯდება ბოშების მიერ ჩადენილი ქმედება ამ განმარტებაში. II ჯგუფი - დამცველები ბოშების მიერ ჩადენილი ქმედება დანაშაული არ არის, რადგან....	როლების ბარათები

		მსჯელობისას გამოიყენეთ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი: დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა, ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის დასჯას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე. III ჯგუფი - ბოშები დანაშაული არ ჩაგვიდენია, რადგან... მსჯელობისას გამოიყენეთ მორალური კუთხით დასაბუთება. რატომ ჩაიდინეთ ეს საქციელი, რამ გიბიძგათ, რატომ იყო აუცილებელი, სხვანაირად რატომ არ გამოვიდოდა, რატომ არ უნდა მიიჩნიოს მსაჯულმა თქვენი საქციელი დანაშაულად? IV ჯგუფი - მსაჯულები მხარეთა არგუმენტების გაცნობის შემდეგ გადაწყვიტეთ, არის თუ არა ბოშების ქმედება დანაშაული? პასუხი დაასაბუთეთ	
N5 შეჯამება დრო: 3 წუთი	მოსწავლეებმა შეაჯამონ გაკვეთილზე განვლილი მასალა	გაკვეთილის შეჯამებისთვის მასწავლებელს შეუძლია, დასვას შემაჯამებელი კითხვები: 1. *როდის ითვლება ქმედება დანაშაულად?* 2. *რა არის სამართალი და მორალი?* 3. *რატომ აბედნიერებს ადამიანს სამართლიანად და მორალურად მოქცევა?*	დაფა, ცარცი

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა N2

გაკვეთილი, შეიძლება, ცალკეც ჩატარდეს - დამოუკიდებელ გაკვეთილად, თუმცა, შესაძლოა, კომპლექსურ დავალებაზე ⬇ მუშაობისას ერთ-ერთ ეტაპადაც გამოიყენოთ.

საგანი	მოქალაქეობა	ქართული ენა და ლიტერატურა
კლასი	IX კლასი	
თემა	ცენტრალური ხელისუფლება	ადამიანი და მისი ცხოვრება
საკითხი	ბავშვთა უფლებები, დანაშაული - ინდივიდუალური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა	
გაკვეთილის მიზანი	მოსწავლემ გააცნობიეროს ძალადობის შედეგები, გაიაზროს, რატომ არის საჭირო ძალადობის პრევენცია და/ან მასზე დროული რეაგირება, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების მხრიდან.	
საკვანძო შეკითხვა	• რა ახდენს გავლენას პიროვ-ნებისა და მისი პრინციპების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე? • როგორ აისახება დანაშაულის მიმართ საზოგადოების გულგრილობა ცალკეული ინდივიდის ან საზოგადოების ცხოვრებაზე? • რა შედეგები მოსდევს ძალადობას ცალკეული ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაზე? • რატომ და როგორ უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლებები? • როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს სამართლებრივი რეაგირება ძალადობაზე? • როგორი შეუძლია საზო-გადოებას ძალადობის პრევენ-ციაში საკუთარი როლის შეტანა?	• რას გულისხმობს ადამიანის პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ ან პირიქით? რაში შეიძლება, გამოვლინდეს ის? • რამ შეიძლება უბიძგოს ადამიანს დანაშაულისკენ, და პირიქით, რამ შეიძლება, დაიცვას იგი დანაშაულებრივ სამყაროში მოხვედრისაგან (რისკ და დამცავი ფაქტორები)? • რამდენად შეუძლია საზოგადოებას დანაშაულის პრევენცია? • რამდენად დიდია საზოგადოების პასუხიმგებლობა მსხვერპლის ან დამნაშავის წინაშე? როგორ უნდა დაეხმაროს ის მსხვერპლს და დამნაშავეს სრულფასოვანი ცხოვრების დაბრუნებაში?
წინა გაკვეთილებზე გავლილი მასალა	• ბავშვთა უფლებები • ძალადობის ფორმები	• ნაწარმოები „სარჩობელაზედ“

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	**აქტივობის მიზანი**	**აქტივობის მსვლელობა**	**რესურსი**
N1 გაკვეთილის მიზნის გაცნობა დრო: 2 წუთი	მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა *(თუკი გაკვეთილი კომპლექსური დავალების ფარგლებში ტარდება, მოსწავლე ამავე ეტაპზე იხსენებს დავალების პირობას)*	მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე, წერილობით; მაგალითად, წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს. შემდეგ კი განვლილი მასალიდან სვამს რამდენიმე შეკითხვას. • ძალადობის რომელი ფორმები გახსოვთ? • ბავშვთა რომელი უფლებები ირღვევა ძალადობის დროს? • ადამიანის რომელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უქმნის საფრთხეს ძალადობა? პასუხების მოსმენის პარალელურად, მასწავლებელმა შესაძლოა, დაფაზე გააკრას შეკითხვებზე სავარაუდო პასუხების შესაბამისი ვიზუალური მასალა.	ვიზუალური მასალის შექმნისთვის **მატერიალური მასალა** (სასურველია): ფერადი ფურცლები, მარკერები, ქაღალდის წებოვანი ლენტი **ინფორმაციისთვის:** 1. ძალადობის ფორმები 2. ბავშვთა უფლებები 3. მასლოუს პირამიდა

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	**აქტივობის მიზანი**	**აქტივობის მსვლელობა**	**რესურსი**
N1 გაკვეთილის მიზნის გაცნობა დრო: 2 წუთი	მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა *(თუკი გაკვეთილი კომპლექსური დავალების ფარგლებში ტარდება, მოსწავლე ამავე ეტაპზე იხსენებს დავალების პირობას)*	მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე, წერილობით; მაგალითად, წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს. შემდეგ კი განვლილი მასალიდან სვამს რამდენიმე შეკითხვას. • ძალადობის რომელი ფორმები გახსოვთ? • ბავშვთა რომელი უფლებები ირღვევა ძალადობის დროს? • ადამიანის რომელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უქმნის საფრთხეს ძალადობა? პასუხების მოსმენის პარალელურად, მასწავლებელმა შესაძლოა, დაფაზე გააკრას შეკითხვებზე სავარაუდო პასუხების შესაბამისი ვიზუალური მასალა.	ვიზუალური მასალის შექმნისთვის **მატერიალური მასალა** (სასურველია): ფერადი ფურცლები, მარკერები, ქაღალდის წებოვანი ლენტი **ინფორმაციისთვის:** 1. ძალადობის ფორმები 2. ბავშვთა უფლებები 3. მასლოუს პირამიდა

N3 ტექსტის გაცნობა დრო: 10 წუთი	მოსწავლეებმა ამოიცნონ ძალადობის ფორმები და მისი შედეგები, გაიაზრონ საზოგადოების როლი	**მარკირებული კითხვა** მოსწავლებს ურიგდებათ ამონარიდი ნაწარმოებიდან „სარჩობელაზედ“, მასწავლებელი აძლევს 7 წუთს და სთხოვს, მოინიშნოს ის მონაკვეთები, რომლებიც ასახავს: 1. ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმას; 2. ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგებს; 3. საზოგადოების გულგრილობის მაგალითებსა და შედეგებს მასწავლებელი პერსონაჟის შესახებ სვამს კითხვებს - თქვენი აზრით, რას გრძნობს პერსონაჟი? რა მიგვანიშნებს ამ ემოციებზე? რამ გამოიწვია მისი ემოცია?	ამონარიდი ნაწარმოებიდან „სარჩობელაზედ“ მარკირებული კითხვის ინსტრუქცია (ინსტრუქცია მოცემულია ონლაინ გაკვეთილისთვის, აუცილებელია მისი ადაპტირება)
N4 დისკუსია დრო: 15 წუთი	დამუშავებული მასალის საფუძველზე მოსწავლეებმა იმსჯელონ ძალადობის შედეგებზე და საზოგადოებისა და სახელმწიფოს როლზე ძალადობის პრევენციისა თუ მის შედეგებზე რეაგირების კუთხით	**თევზის აკვარიუმი** მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს სადისკუსიო კითხვები, რომელსაც მოსწავლეებთან ერთად განიხილავს „თევზის აკვარიუმის“ მეთოდით. სასურველია, სადისკუსიო კითხვები გაკვეთილის საკვანძო შეკითხვებიდან შეირჩეს: ● რამ შეიძლება უბიძგოს ადამიანს დანაშაულისკენ, და პირიქით, რამ შეიძლება, დაიცვას იგი დანაშაულებრივ სამყაროში მოხვედრისაგან (რისკ და დამცავი ფაქტორები)? ● რამდენად და როგორ შეუძლია საზოგადოებას დანაშაულის პრევენცია? ● რა ახდენს გავლენას პიროვნებისა და მისი პრინციპების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე? ● როგორ აისახება დანაშაულის მიმართ საზოგადოების გულგრილობა ცალკეული ინდივიდის ან საზოგადოების ცხოვრებაზე?	აქტივობის ჩატარების ინსტრუქცია

		• რა შედეგები მოსდევს ძალადობას ცალკეული ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაზე? • რატომ და როგორ უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლებები? • როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს სამართლებრივი რეაგირება ძალადობაზე? • რამდენად დიდია საზოგადოების პასუხიმგებლობა მსხვერპლის ან დამნაშავის წინაშე? როგორ უნდა დაეხმაროს ის მსხვერპლს და დამნაშავეს სრულფასოვანი ცხოვრების დაბრუნებაში? *მასწავლებელი მოსწავლეებს ორ - შიდა და გარე წრეში ანაწილებს, სადაც მხოლოდ შიდა წრეში მსხდომთ შეუძლიათ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, თუმცა ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც გარე წრეში ზის, შეუძლია მხარზე შეეხოს შიდა წრეში მჯდომს და ადგილი გაუცვალოს*	
N5 შეჯამება დრო: 3 წუთი	მოსწავლეებმა გაკვეთილზე განვლილი მასალა შეაჯამონ	გაკვეთილის შესაჯამებლად მასწავლებელი დაფაზე აკრავს ფლიფჩარტს და მოსწავლეებს სთხოვს, თითოეულმა მათგანმა დააფიქსიროს საკუთარი მოზარება, თუ როგორ შეიძლება, წინ აღვუდგეთ ბავშვთა მიმართ ძალადობას (ეს, შეიძლება, იყოს წერილობით ან სიმბოლოებით/ნახატებით). შევსებული ფლიფჩარტი შეგიძლიათ, კლასში გამოაკრათ. **შეჯამებისთვის მასწავლებლემა ხაზი უნდა გაუსვას იმას, რომ ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვისთვის სახელმწიფოს მიერ უფლებების დაცვისა და ძალადობისგან დაცვის მექანიზმების ეფექტურად ფუნქციონირებისთვის საზოგადოებას ენიჭება უდიდესი როლი. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების წევრები გულგრილნი არ იყვნენ ძალადობის ფაქტებზე, და სახელმწიფოსგან დროული და სამართლებრივი რეაგირება მოითხოვონ.** *თუკი გაკვეთილი კომპლექსური დავალების ფარგლებშია, მასწავლებელმა უნდა დასვას კითხვა, თუ როგორ გამოიყენებენ მიღებულ ინფორმაციას კომპლექსური პროდუქტის შესაქმნელად?*	ფლიფჩარტის ქაღალდი, ფერადი მარკერები, ქაღალდის წებოვანი ლენტი

კომპლექსური დავალების პირობა

ცნება: საზოგადოება; დემოკრატია; მდგრადი განვითარება;

წარმოიდგინეთ, რომ ფსიქოლოგი ხართ და გსურთ, თქვენი ბლოგისთვის დაწეროთ **ესე,** რომლის საშუალებითაც ინფორმაციას მიაწვდით მკითხველს **ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგებისა და მის პრევენციაში სახელმწიფოსა თუ საზოგადოების როლის შესახებ.**

ესეში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- როგორ აისახება ბავშვთა მიმართ ძალადობა და მისი შედეგები როგორც პიროვნების განვითარებაზე, ასევე - საზოგადოების ცხოვრებაზე?
- როგორ და რატომ უნდა შეუწყოს ხელი ძალადობის პრევენციასა და მის აღმოფხვრას საზოგადოებამ? სახელმწიფომ?
- რა გავლენა აქვს ადამიანის უფლებების დაცვას ან დარღვევას ადამიანის პიროვნების განვითარებაზე? ვინ და როგორ უნდა დაიცვას ის?

ამონარიდი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებიდან „სარჩობელაზედ“

„მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვიღაც აზნაურიშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა, — ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა — სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით, საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდამ ვუიში ჩაგვაგდო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული

ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს; იქ სამართალი არ გაბრუნდდება.

...გახსოვს, ამ ოთხი წლის წინად ლოჭინის ხევის პირს რომ ურმები გამოშვებული გქონდათ? გახსოვს, ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორის დღის უჭმელები. საწყალმა ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... მე მწყინდა ეგ, მე მაგას ვთაკილობდი, მაგრამ ვერა გავაწყე-რა. ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი, რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო. ღმერთმა მიპატიოს ის ერთად-ერთი სული, ის ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ კატასავით დამირჩეს!.. განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა!

„შენ მაშინ გულის-ტკივილი დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელს გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა. მთელი ღამე არა მძინებია, გამიკრთა მაშინ ძილი. თუმცა ძალიან დაღალული ვიყავ. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალხზედ შემიდგა. მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე. გაწყდეს, საცა წვრილია -მეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე არ გამაძარცვინებდა-მეთქი.

დაგვიურვე - აქ: ჩვენთვის იზრუნე.

„გაგქურდეთ და ჩამოვედით ქალაქს. აქ ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს. მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავინ არ გაგვეძარცვოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგვხვდა, ვაზღვევინეთ. ამით ვირჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა. გული მაინც არ დაგვიცხრა, რაღაცას ლამობდა, საითღაც იწევდა. ვერ დავაამეთ და ვერა...

„ამ ორის წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო. დედა-ჩვენი მაშინ შინ არ იყო, სოფელში გაესტუმრებინა ქმარს. შევუცვივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ვეღარ მოვასწარით. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი გზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი, — არ ვიცი. ეს კი ვიცი, რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზე-ღა დაკიდებული. მშვიდობით!.. თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის.

„არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო. — აჰა, გადაგიშალე და ლოდი ამეცალა.

„შენ სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კინაღამ არ დამიმორჩილა, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვიცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა N3

გაკვეთილი შეიძლება, ცალკეც ჩატარდეს - დამოუკიდებელ გაკვეთილად, თუმცა, შესაძლოა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ერთ-ერთ ეტაპადაც გამოიყენოთ. კომპლექსური დავალება შეგიძლიათ იხილოთ მოცემული QR კოდის დასკანერების გზით

საგანი	მოქალაქეობა	ისტორია
კლასი	X კლასი	
თემა	გლობალური მოქალაქეობა	ანტიკური ეპოქა
საკითხი	მოქალაქეობა, საწყისები და თანამედროვეობა	
გაკვეთილის მიზანი	ისტორიული ათენისა და თანამედროვე საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის შედეგად, მოსწავლემ გაანობიეროს მოქალაქეობის არსი და დანიშნულება	
საკვანძო შეკითხვა	• ადამიანსა და სახელმწიფოს შორის რა სახის კავშირს გულისხმობს მოქალაქეობა? • როგორ ხდება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, მოქალაქეობის მოპოვება/დაკარგვა? • რით განსხვავდება მოქალაქის უფლებები და მოვალეობები უცხოელის/არამოქალაქის უფლებებთან შედარებით? • რატომ არის მოქალაქის სტატუსი ადამიანისთვის მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო? • როგორ იცავს სახელმწიფო მოქალაქეს და მის ინტერესებს ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ?	• რა შესძინა ანტიკურ ათენელს მოქალაქის სტატუსმა? • რა გავლენა იქონია მოქალაქის სტატუსის დანერგვამ ანტიკური ათენის მმართველობასა და განვითარებაზე? • რატომ იყო ათენის თითოეული მოქალაქისთვის სავალდებულო მმართველობით საქმიანობაში მონაწილეობა? • რა კავშირია დემოკრატიასა და მოქალაქეობის ინსტიტუტს შორის?
წინა გაკვეთილებზე გავლილი მასალა	• მოქალაქეობა საქართველოში	• ათენი - დემოკრატიის სამშობლო

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	**აქტივობის მიზანი**	**აქტივობის მსვლელობა**	**რესურსი**
N1 გაკვეთილის მიზნის გაცნობა დრო: 2 წუთი	მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა *(თუკი გაკვეთილი კომპლექსური დავალების ფარგლებში ტარდება, მოსწავლე ამავე ეტაპზე იხსენებს დავალების პირობას)*	მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობით; მაგალითად, წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს	ვიზუალური მასალის შექმნისთვის **მატერიალური მასალა** (სასურველია): ფერადი ფურცლები, მარკერები, ქაღალდის წებოვანი ლენტი
N2 რას ნიშნავს მოქალაქეობა? დრო: 3 წუთი	მოსწავლეებმა იმსჯელონ მოქალაქეობის ცნებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე	**ასოციაციური რუკა - მოქალაქეობა** მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას - მოქალაქეობა და მოსწავლეებს სთხოვს, თავიანთი პოზიციები გამოთქვან, თუ რასთან ასოცირდება მათთვის მოქალაქეობის ცნება	**მატერიალური მასალა:** დაფა, ცარცი
N3 განსხვავება და მსგავსება დრო: 10 წუთი	მოსწავლეებმა შეადარონ მოქალაქეობის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და ანტიკური ათენის მოქალაქეობის წესები; იმსჯელონ თითოეულის დადებით და უარყოფით მხარეებზე	**ვენის დიაგრამა - მოქალაქეობა საქართველოსა და ანტიკურ ათენში** მოსწავლეებმა ინდივიდუალურად შეავსონ ვენის დიაგრამა - რა საერთო და განსხვავებული უფლებები და მოვალეობები აქვთ საქართველოს მოქალაქეს და ანტიკური ათენის მოქალაქეს	საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კონსტიტუცია (მეორე თავი: 11, 24,25,32 მუხლები)

		 საქართველოს ანტიკური ათენის მოქალაქე ვენის დიაგრამის შევსების შემდეგ, მოსწავლეებმა თითოეული მხრიდან უნდა გამოკვეთონ ის მიდგომები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც თითოეული ქვეყნის დემოკრატია უფრო უკეთესი იქნებოდა	*უმჯობესი იქნება თუ მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ მისცემს კანონის ელექტრონულ ვერსიას მობილურ ტელეფონებში გადასაწერად მოქალაქეობა ანტიკურ ათენში *იმ შემთხვევაში, თუ საკლასო სიტუაცია ონლაინ მასალების გამოყენების საშუალებას არ იძლევა, სავარჯიშოს შესასრულებლად საჭირო მასალა მოცემულია მეათე კლასის მოქალაქეობის და ისტორიის ყველა გრიფირებულ სახელმძღვანელოში

N4 მოქალაქის პროფილი დრო: 20 წუთი	მოსწავლეები მოქალაქეების პროფილების შექმნით, ორიგინალური ფორმით მოახდენენ თავიანთი ცოდნის დემონსტრირებას მოქალაქეობის შესახებ	**მოქალაქის პროფილი** მასწავლებელი კლასს ჯგუფებად ჰყოფს და ფლიფჩარტის ფურცლებს ურიგებს. თითოეული ჯგუფი ირჩევს ბარათს, რომელზეც ადამიანის მონაცემებია დატანილი. ამ მონაცემების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა შექმნან სოციალური ქსელის (facebook/twitter..) პროფილის ესკიზი, რომელზეც ასახული იქნება პროფილის მფლობელის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ხასიათის ცხოვრებისეული მოვლენები, სადაც მოქალაქეობასთან და მოქალაქის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები გამოჩნდება. მოსწავლეებს, თავისუფალი სტილითა და თავიანთი ფანტაზიის მიხედვით შეუძლიათ, განავრცონ პერსონაჟის ისტორია და მახასიათებლები - შეურჩიონ სახელი, შექმნან პორტრეტი, მოიფიქრონ, თუ რა ხდება მის ყოველდღიურობაში და ა.შ. სტილი აბსოლუტურად თავისუფალია, მთავარია, ნაშრომში წარმოჩინდეს მოქალაქეობის არსთან დაკავშირებული საკითხები შესაბამისი დროისა და ადგილმდებარეობის მიხედვით; შექმნილი პროფილის პრეზენტაციას ჯგუფები კლასის წინაშე წარმოადგენენ. ბარათი 1 ათენის მოქალაქე 28 წლის ქალი საქმიანობა - ამფითეატრის მსახიობი ბარათი 2 სოლონი 50 წლის კაცი საქმიანობა - ათენის მეფე, მთავარი კანონმდებელი და რეფორმატორი	ფლიფჩარტის ფურცლები, ბარათები, მარკერები, ფლომასტერები

		ბარათი 3 საქართველოს მოქალაქე 45 წლის კაცი საქმიანობა - სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ბარათი 4 საქართველოს მოქალაქე 39 წლის ქალი საქმიანობა - კონსულტანტი იუსტიციის სახლში ბარათი 5 ათენში მყოფი კოლხი 27 წლის კაცი საქმიანობა - მეღვინე	
N5 შეჯამება დრო: 3 წუთი	მოსწავლეებმა გაკვეთილზე განვლილი მასალა შეაჯამონ	გაკვეთილის შეჯამებისთვის მასწავლებელს შეუძლია, დასვას შემაჯამებელი კითხვები: 1. *როგორ განვითარდა მოქალაქის სტატუსი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ათენიდან საქართველომდე?* 2. *რა მნიშვნელობა აქვს მოქალაქის სტატუსს ადამიანისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში?* 3. *რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ თითოეულ მოქალაქეს გააზრებული ჰქონდეს მოქალაქეობის დანიშნულება და არსი?*	დაფა, ცარცი

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა N4

საგანი	მოქალაქეობა	ქართული ლიტერატურა
კლასი	X კლასი	
თემა	გლობალური მოქალაქეობა	ადამიანი და მისი ცხოვრება
საკითხი	ტოტალიტარიზმი და ადამიანი	
გაკვეთილის მიზანი	„დათა თუთაშხიას“ პერსონაჟის არქიფო სეთურის ფილოსოფიის გაანალიზებით, მოსწავლეები დაადგენენ ტოტალიტარული იდეოლოგიის მახასიათებლებს და მასთან ბრძოლის მეთოდებს შეიმუშავებენ	
საკვანძო შეკითხვა	• რა ხერხებს იყენებს ტოტალიტარული რეჟიმი ადამიანთა სამართავად? • როგორ უპირისპირდება ტოტალიტარიზმი ადამიანის ინდივიდუალურობას და ღირსებას? • რა როლი აქვს ადამიანის ნების თავისუფლად გამოვლენას ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ? • მმართველობის რომელ სისტემაშია ადამიანის თავისუფლება და თავისუფალი ნება ყველაზე მეტად დაცული?	• მოსე ზამთარაძის ნაამბობიდან სეთურის წარსულსა და ახლანდელ ყოფაზე, რა განსხვავებაა მათ შორის? რამ განაპირობა ეს ცვლილება? • როგორია ხელქვეითების დამოკიდებულება არქიფოს მიმართ და როგორ ექცევა იგი მათ? რა განაპირობებს თითოეულის მოტივს? • რა არის სეთურის მოძღვრების მთავარი იდეა?
წინა გაკვეთილებზე გავლილი მასალა	• მმართველობის ტიპები	• მოსე ზამთარაძის ნაამბობი ნაწყვეტი რომანიდან ,,დათა თუთაშხია“

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	**აქტივობის მიზანი**	**აქტივობის მსვლელობა**	**რესურსი**
N1 გაკვეთილის მიზნის გაცნობა დრო: 2 წუთი	მოსწავლეები გაეცნონ გაკვეთილის მიზანს, გაუაქტიურდეთ წინარე ცოდნა	მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობით; მაგალითად, წერს დაფაზე, ან ამობეჭდილი სახით ურიგებს	ვიზუალური მასალის შესაქმნელად **მატერიალური მასალა** (სასურველია): ფერადი ფურცლები, მარკერები, ქაღალდის წებოვანი ლენტი
N2 არქიფო სეთურის კონსტიტუცია დრო: 15	არქიფო სეთურის მონოლოგის მიხედვით, მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ როგორია ტოტალიტარული ქვეყნის იდეოლოგია	**ვიდეოჩვენება და კანონის წერა** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს არქიფო სეთურის მონოლოგს ფილმიდან „დათა თუთაშხია“. ვიდეოჩვენებამდე მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს საორიენტაციოდ მისცეს კითხვები, რომლებზე პასუხებიც მათ მონოლოგში უნდა ამოიცნონ: 1. რას უნდა ხედავდეს და გრძნობდეს ხალხი? 2. რა არის არქიფოს, როგორც ლიდერის მიზანი? 3. არქიფოს მიხედვით, რას მოაქვს ყოველგვარი გარყვნილება და უზნეობა? 4. როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ლიდერს ხალხის მიმართ და როგორ უნდა ეპყრობოდეს მათ? ვიდეოჩვენების შემდეგ, მოსწავლეებმა წყვილებში უნდა შექმნან არქიფოს კონსტიტუცია. როგორი იქნებოდა იმ ქვეყნის კონსტიტუცია, მისი ლიდერი რომ არქიფო ყოფილიყო? მოსწავლეებს შეუძლიათ, თავიანთი წარმოდგენით შექმნან კონსტიტუციის 2-3 მუხლი, რომელშიც არქიფოს იდეოლოგია წარმოჩინდება	**მატერიალური მასალა:** დაფა, ცარცი არქიფოს მონოლოგი (4:00 წუთამდე)

N3 ანგარიშები და დასკვნები დრო: 25 წუთი	მოსწავლეები მოირგებენ სხვადასხვა თანამდებობის პირის როლს და ტოტალიტარული მმართველობის წინააღმდეგ დაწერენ მოხსენებებს	**ანგარიშის/დასკვნის შექმნა** მასწავლებელი კლასს ოთხ ჯგუფად ჰყოფს. თითოეულ ჯგუფს მოუწევს როლის მორგება და შესაბამისი ანგარიშის/დასკვნის მომზადება. ანგარიშების/დასკვნების მომზადებისას მოსწავლეებს, ნაწარმოების ტექსტთან ერთად, შეუძლიათ, გამოიყენონ საკუთარი წარმოსახვა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება ნაწარმოებში აღწერილ რეალობასთან; I ჯგუფი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველს და უნდა მოამზადოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის გამოყენებით. მოსწავლეებმა ანგარიშში უნდა წარმოადგინონ, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული ადამიანის რომელი უფლებები ილახება სეთურის მმართველობაში; II ჯგუფი ევროკომისიის ინსპექტორს წარმოადგენს და უნდა მოამზადოს ინსპექტორის დასკვნა - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული, რომელი უფლებები ირღვევა სეთურის მმართველობაში; III ჯგუფი წარმოადგენს გაეროს ბავშვთა ფონდს და ანგარიში უნდა მოამზადოს ბავშვთა უფლებების კონვენციით გარანტირებული უფლებების გათვალისწინებით, არქიფოს სოფელში ბავშვთა მდგომარეობის შესახებ;	საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ბავშვთა უფლებების კონვენცია საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მოსე ზამთარაძის ნაამბობი

		IV ჯგუფი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმოადგენს და უნდა მოამზადოს დასვნა, რამდენად სრულდება სეთურის მიერ დაარსებულ სკოლაში საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; მუშაობისთვის ჯგუფებს 17 წუთი ეძლევათ, ხოლო პრეზენტაციისთვის - 2 წუთი თითო ჯგუფს; მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლეებს შესაბამის კანონებზე ჰქონდეთ წვდომა. შესაძლოა, წინასწარ დაუგზავნოს მათ კანონების ლინკები. ჯგუფში ერთი მოსწავლე მაინც თუ შეძლებს მობილური ტელეფონით გახსნას კანონის ლინკი, დავალების შესასრულებლად საკმარისი იქნება.	
N4 შეჯამება დრო: 3 წუთი	მოსწავლეებმა გაკვეთილზე განვლილი მასალა შეაჯამონ	გაკვეთილის შეჯამებისთვის მასწავლებელს შეუძლია, დასვას შემაჯამებელი კითხვები: 4. *რა გავლენის მოხდენა შეუძლია მმართველობის სისტემას ადამიანზე?* 5. *რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის თავისუფლების დაცვა ღირსების შესანარჩუნებლად?* 6. *როგორ იცავს თანამედროვე კანონმდებლობა ადამიანის თავისუფლებას?*	დაფა, ცარცი

მოსე ზამთარაძის ნაამბობი

* * *

- წამოდი, მოსე, მივიდეთ ახლოს და ვნახოთ, რასაა, რომ სჩადის ეს ხალხი, - მითხრა დათამ.

მოედნისკენ გამოვიწიეთ კიდევ. გავჩერდით და აგერ გეტყვი, რაც ამბავი ვნახეთ: ის კოჭლი მედავითნე თაბაგარი - წუხელის რომ გვემსახურებოდა და სეთურმა თავის მარჯვენა ხელად რომ გაგვაცნო, - საგულდაგულოდ გადახერხილ კუნძზე გასულიყო და გულხელდაკრეფილი იდგა ზედ. მის წინ ორ მწკრივად გაშტრინგული ოცი თუ ოცდახუთი ქალი და კაცი რაღაც ლოცვას თუ ლექსს ლაპარაკობდა გაცხარებით.

ილაპარაკეს, ილაპარაკეს და გაჩუმდნენ. ისინი რომ გაჩუმდნენ, მაშინ კუნძზე შესკუპებულმა თაბაგარმა ჩაიბუტბუტა:

- ხოლო მომძღვნელმან ჩვენი პურისა და სარჩოსი, მამამან ჩვენმან, უსათნოესმან და უკეთილესმან, რომელ არს არქიფო, იცოცხლოს მარადჟამს!

ნიშანი მისცა თაბაგარმა და დაიწყო ისევ მრევლმა ბუტბუტი. კაი ხანს იბუტბუტეს, იმსიგრძეს რა დაიხსომებდა, მარა ერთი კია, ყველა პწკარი არქიფოთი თავდებოდა და "პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიონით!" ეს სიტყვა მიტომ დამამახსოვრდა, რომ საჩხერეში იმედაძეს ერქვა ერთს. პოლიქრონიონი ქართულად მრავალჟამიერს ნიშნავს, თურმე.

დამთავრდა ეს ამბავი და თავისუფლადო, უბრძანა თაბაგარმა იმ ხალხს. მოკეცეს ცალი ფეხი მუხლში.

- სპირიდონა სულანჯია, შე მამაძაღლო, არ არის შენთვის დღეს სამუშაო! - პუტპუტით გამოაცხადა თაბაგარმა. - პილატე სვანიძემ ჩაცხოს კისერში ერთი და გააგდოს მაქედან!

პილატე სვანიძემ ჩაცხო კისერში სპირიდონა სულანჯიას და მუჯლუგუნით გამოაგდო მწკრივიდან. მსჯავრდადებული კაცი განზე გავიდა, თოვლზე დაჯდა, მოთქმა დაიწყო, ვაი ჩემს ცოლ-შვილს და ვაი მეო! არავინ მიაქცია ყურადღება სპირიდონა სულანჯიას.

სმენა ბრძანა თაბაგარმა. მერე მარჯვნისკენო, მერე - ნაბიჯითო, და წავიდა სადღაც ეშმაკებისკენ ის შემოფხრეწილ-შემობღლანძული ხალხი.

- საით მიდის ეს ხალხი, დედიკო? - კითხა დათამ ჩვენს დედაბერს.

- სამუშაოზე.

- ეგერ, ის დაგვალული კაციც სამუშაოზე მიდის, თუ?

- ეგ მიდის, თუ მიდის, თვარა...

- სპირიდონა სულანჯიამ რა დააშავა?

- მეტი ეკუთვნოდა, მაგ სასიკვდილეს. არქიფოს უმადლოდეს - დედაბერმა ენაზე იკბინა და ჯორი შემოაბრუნა: - არაა თქვენი საქმე. ჭკუით იყავით, თვარა, ვნახავ თქვენი კუდებით ნასროლ ქვას და ვაი-უბედურებას!

წარმოიდგინე, კრინტი აღარ დაგვიძრავს არც ერთს.

მიყვებოდა გვერდში მედავითნე თაბაგარი თავის ხალხს კოჭლობა-კოჭლობით და იძახდა:

- ატ, ტვა, ტლი! ატ, ტვა, ტლი!

- ავყევით დედაბერს. შეგვიძღვა სეთურის სახლში. მუთაქებით და ჭრელი ბალიშებით მორთული ტახტი ქონდა სეთურს, იმაზე იყო წამოგდებული. დაგვინახა შესულები, ადგა, დიდი ამბით ჩამოგვართვა ხელი. მზამზარეული სუფრა ედგა წინ: რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერი იყო ზედ, მიგვიწვია, დაგვსვა და მერე კითხა დედაბერს:

- ხომ კარგად მოუარე სტუმრებს, ასინეთა?

- უწესო კაცებია ორივე!

მასპინძელმა წარბი შეიკრა, დაფიქრდა და მიუგო:

- აჰა�ა!.. კაი, წადი შენ. მე მოვუვლი ამათ.

გაიხურა კარი ასინეთა-კუდიანმა. გადაგორდა ტახტზე სეთური. იმდენი იცინა და იხარხარა, მეგონა, ფაშვი ჩაწყდებოდა და დასამარხი შეგვექნებოდა. იჯერა სიცილით გული, შეიმშრალა ცრემლები და გვითხრა:

- ასეა, მამა და შვილო, უწესო კაცები ხართ. ხომ გაიგონეთ, რა თქვა ასინეთამ!

სიმართლე თუ გინდა იცოდე, რაც იმ დილით ვნახე, ისეთ გუნებაზე დაგვაყენა იმან მეც და დათაც, ორივე, რომ იქნებ არაფერი გვეკითხა და ჩუმად გავპარულიყავით, მარა თვითონ დაიწყო ხუმრობა სეთურმა და შევგულიანდი მაშინ. ვიფიქრე, ვინ რას გაგვიბედავს ამ ორ სახელიან აბრაგს-მეთქი. მეც იმ ხუმრობის კილოზე ვკითხე ბალიშებში ჩაფლულ მასპინძელს:

- რა იყო, შე კაცო, ღამიანა რომ აგვაყენა მაგ შენმა ასინეთამ!

- ხუთ საათზე ვაყენებთ ხალხს. უნდა ხედავდეს ხალხი, რომ წესი ერთნაირია ყველასთვის, თვარა, თვითონაც შუადღემდე ძილს მომთხოვს და საქმე დაზარალდება. საქმეს რომ ვამბობ, სამუშავარს კი არ ვფიქრობ - კაცებს ვფიქრობ, მათი ცხოვრებისთვის და კეთილდღეობისთვის ვლაპარაკობ... გრძელი ამბავია ეს, მოსე-ბატონო!..

ერთი სახარება შეგვეწიოს, აგერ, ეს გადაზელილი ნამეტანი უხდება არაყს.

დავილოცეთ, დავლიეთ და კიდევ ვეუბნები სეთურს:

- სპირიდონა სულანჯიას რომ დაცხეს ამ დილას და კატის ცინდალივით გამოათრიეს იქიდან, ის, რავა, მისი ცხოვრების და კეთილდღეობის იყო?

- მასეა, აპა, რავა გგონია შენე?! კაცი შიშს და მოკრძალებას რომ დაკარგავს, მაშინ გაუბედურდება სწორედ. არ იტყვი, რა აქვს ნათქვამი სპირიდონა სულანჯიას? არქიფო სწორედ იმდენს გვაძლევს, შიმშილით რომ არ დავწყდეთო!

სიმდიდრეს და ფუფუნებას მოაქვს ყველაფერი გარყვნილება და უზნეობა. ვთქვათ, და, მივეცი სპირიდონა დოყლაპიას, რომ ვაძლევ, იმაზე მეტი. კიდევ მეტი მოუნდება და რომ აღარ ექნება, მაშინ გაუბედურდება - პარვას და შურიანობას მოკიდებს ხელს. თხა თუ გაძღა, მგელზე ნადირობას მოინდომებს, ხომ გაგიგონია? რა გამოდის აქედან? კაცისთვის კაი თუ გინდა, არ უნდა გააძღო და გააღორმუცელო.

რატომ თქვა სპირიდონა სულანჯიამ ის, რაც თქვა? გოჭები დაზარდა მაგან. ცხრა იყო, ექვსი მე წამოვიყვანე და სამი მას დავუტოვე. გაყიდა, ფული შეუვიდა ოჯახში და მიტომ. რვა უნდა წამომეყვანა, მისთვის ერთი დამეტოვებინა და არაფერს იტყოდა მაშინ. ასეა ეს.

ახლა, ერთ კვირას არ გაიყვანს კაკოია თაბაგარი სამუშაოზე სპირიდონა ყბედს, დააკლდებათ მის შვილებს და ინანებს, რატომ ვთქვიო. სხვისთვისაც მაგალითი იქნება ეს, აღარავინ იტყვის მისთანას და თვითონ სპირიდონაც სიხარულით ცას ეწევა, ისევ რომ მისცემენ სამუშაოს და საშოვარს.

სპირიდონას ნათქვამი დიდი ცოდვაა ნამდვილად. თვითონ შეცდა და დაზარალდა, ეს არაფერი კიდევ, მარა სხვასაც რომ წაუჯიკავა და უბიძგა, შენც თქვი და გაუბედურდიო - ისაა, რაცაა.

მე თუ ამ ხალხის პატრონი ვარ, იმაზეც უნდა ვიფიქრო, რომ რაც ხალხს დააზარალებს და გზიდან გადააცდენს, სანამდე გაზრდილა და მოღონიერებულა ის, იქამდე უნდა ჩაიქოლოს და ჩაქვავდეს.

ხალხზე თუ არ ვიზრუნე და სულ მათ კაი ცხოვრებაზე თუ არ ვიფიქრე, აპა, რისთვის ვარ მე! მოხვიდე ამ ქვეყანას, ჭამო, სვა, დრო ატარო და ხალხისთვის არაფერი სიკეთე არ ქნა, რა ცხოვრება იქნება ასეთი ცხოვრება?!

ორი სახარება შეგვეწიოს! აგერ ეს დოში მაგ გადაზელილზე უკეთესია, ნახეთ, თუ არა.

ნახა ჩვენმა მასპინძელმა, მეც და დათაც გულდასმით რომ ვუგდებდით ყურს, წახალისდა უფრო და განაგრძო:

- ასეა, ჩემო ბატონო, შიში თუ არ აქვს ადამიანს, შიში - დაიღუპება უეჭველად. მარა მარტო შიშიც არ კმარა. სხვაცაა საჭირო კიდევ. ერთი, რომ კაცი ჩონგურის სიმივით უნდა იყოს დაჭიმული სულ. თავის ნებაზე თუ მიუშვი, მოდუნდება და დაძაბუნდება. დაძაბუნებული კაცი ვერც თავს წაადგება და ვერც ქვეყანას.

მერე, რა იცის დაძაბუნებამ?! ხო ხო, ხო! ათასი სენი, ავადმყოფობა შეუჩნდება სხეულს და მიდის კაცი საიქიოს. მიდის! რავარც მოაკლებ საზრუნავს და რავარც მოსუსტების და მოდუნების საშუალებას მიცემ, უმოკლდება წუთისოფელი. ასეა ეს.

აბა, რატომაა, ღამიანად რომ ვაყენებ და სალდათურ ცხოვრებაზე რომ მყავს გადაყვანილი? აგერ, კუზიანი ასინეთა მასე რომ არ მყავდეს, რა აცოცხლებდა ამდენ ხანს. იცის, სიცოცხლეს რომ ვუგრძელებ, და მიტომაა ჩემი მადლიერი და ერთგული.

ახლა, რაა კიდევ, თუ იცით? „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო", - კაკოია თაბაგარმა იცის მალ-მალე ამის თქმა და ნამდვილი ნათქვამია ეს.

ადამიანი უგუნურია და მე მათთვის რომ ვარ, ისინი ჩემს წინააღმდეგ და ეშმაკეულის მხარეს არიან აპაა! სიკეთე თუ გინდა ხალხისთვის, სიყვარული უნდა ჩაუთესო გულში. უგუნური თუა, სიყვარულს რანაირად ჩაუთესავ? მარტო შიშით ვერ ჩაუთესავ. აპა, როგორ? რაფერ და, დღედაღამ შენი სახელი უნდა აძახებიო და შენი ქება გააგონო და საკუთარი პირით ათქმევიო.

თაბაგარი ამისთვის წამოვიყვანე კვირიკედან. დავაწერინე ლოცვები - ზოგი ლექსად, ზოგი სიმღერად და ზოგიც ისე. ნამეტანი კარგად და ძვირფასად აკეთებს ამას. უყენია

ეს ჩემი ხალხი, ამეორებიებს დღეში სამჯერ: ერთს - დილით, მეორეს - სამუშაოზე და მესამეს - შინ რომ ბრუნდებიან საღამოთი, მაშინ.

დროდადრო გამოცვლა უნდა ლოცვებს. ბერდება ლოცვა და ძალას კარგავს, დიდხანს ერთი და იგივე თუა... დავლიოთ ახლა და მთლად მთავარი რაცაა, გეტყვით იმასაც.

სამი სახარება შეგვეწიოს! ზეთისხილს არ ჭამთ არც ერთი. არ გიყვართ, ალბათ. მიატანეთ ზეთისხილი, ნამეტანი კაი გემოს დატოვება იცის პირში.

- აბელი რომ გერქვა, არქიფო რატომ დაირქვი? - ლაპარაკის ხასიათზე იყო სეთური და, კითხვა თუ იყო, ახლა უნდა მეკითხა.

- რატომ და, აბელი ბერძნულად რას ნიშნავს, თუ იცი? აბელი ნიშნავს... მომაწოდე, ეგერ რომ წიგნი დევს, თუ კაცი ხარ... მასე. აგერ, ა!.. მოფუსფუსე, შეწუხებულ კაცს ნიშნავს და, სხვაფრად, არარაობას და მოჩვენებას... ბნელი ხალხი იყო ჩემი მშობლები, არ იცოდნენ ეს. ახლა, არქიფო... არქიფო! აგერ, ა, თავლის უფროსს, ცხენთა უფროსს ნიშნავს არქიფო.

- შენმა ხალხმა თუ იცის, ცხენების და თავლის უფროსი რომ დაირქვი?

- იცის აპა, რავა გგონია შენე?! ხალხს თუ უთხარი - ადამიანი ხარო, რას გეტყვის, თუ იცი? ადამიანი თუ ვარ, მაშინ მეც შემიძლია, შენი მაგიერობა გავწიო და გამოდი მაქედანო. გამოხვალ, დაჯდება შენს მაგიერ და გაუბედურდება. ცხენი და სახედარი ხარ-თქვა, უნდა ელაპარაკო! ადვილად იჯერებენ ამას. თვითონაც იციან, ასე რომაა, იჯერებენ და წესიერად და ბედნიერად არიან. ასეა ეს, მარა პირდაპირ არ უნდა ელაპარაკო, შეპარვით უნდა უთხრა, ქარაგმით!

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა N5

საგანი	მოქალაქეობა	ქართული ლიტერატურა
კლასი	X კლასი	
თემა	**გლობალური მოქალაქეობა**	**XIX საუკუნის ლიტერატურა; რეალიზმი**
საკითხი	სოციო-კულტურული გარემო და სასიცოცხლო კომპეტენციები	
გაკვეთილის მიზანი	სამეწარმეო უნარების გააზრება საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის	
საკვანძო შეკითხვა	• ვის და რატომ სჭირდება სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება ყველაზე მეტად? • როგორ დამეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში სამეწარმეო კომპეტენციები? • როგორ დამეხმარება სამეწარმეო უნარების განვითარება სოციალური უნარების გაუმჯობესებაში? • როგორ დამეხმარება სამეწარმეო კომპეტენციები, გავხდე გლობალური მოქალაქე?	• როგორ მეხმარება ნაწარმოების სტრუქტურა პერსონაჟის გაგება-გააზრებაში? • რამდენად მეხმარება ტექსტი მეწარმეობის ცნების განსაზღვრასა და საკითხის გარკვევაში? • როგორ/რა საშუალებებით ცდილობს ავტორი მკითხველზე ზემოქმედებას, აზრის გამოხატვას, პოზიციის დასაბუთებას? რამდენად ეფექტურია მისი მცდელობები, დამანახოს მეწარმე ქალის სახე? • რით გამოირჩევა ეს ტექსტი ამავე თემაზე, საკითხზე, პრობლემაზე შექმნილი სხვა ტექსტებისგან? • როგორ დამეხმარება ეს ტექსტი რეალური სამყაროს გაცნობაში, საკითხის შემეცნებაში, მეწარმე ადამიანების მახასიათებლების განსაზღვრაში?
წინა გაკვეთილებზე განვლილი მასალა	• გლობალური მოქალაქის მახასიათებელი • ადამიანის მსოფლმხედველობასა და პიროვნულ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები	რეალიზმის მახასიათებლები; პერსონაჟები, როგორც რეალური გმირები

აქტივობა N, სახელი და ხანგრძლივობა	აქტივობის მიზანი	აქტივობის მსვლელობა
N1 მეწარმეობა, როგორც საკვანძო კომპეტენცია	მეწარმეობის არსისა და სამეწარმეო კომპეტენციების აუცილებლობის გაცნობიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში	მასწავლებელი სვამს კითხვას: • *როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვანძო კომპეტენცია?* მოსწავლეები პასუხობენ კითხვას. პასუხების შემდეგ მასწავლებელს გამოაქვს სქემა, რომელზეც განთავსებულია საკვანძო კომპეტენციები და თითოეული მათგანის შესახებ ესაუბრება მათ; უხსნის რვავე კომპეტენციის არსს და განსაკუთრებით ჩერდება სამეწარმეო კომპეტენციაზე. შემდეგი კითხვაც სწორედ სამეწარმეო კომპეტენციას ეხება: • *ვის და რატომ სჭირდება ყველაზე მეტად სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება?* პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მინი პრეზენტაციას წარმოადგენს სამეწარმეო უნარების შესახებ და ამ აქტივობას ასრულებს დისკუსიით: • *ცოდნა და უნარი მეწარმეობის შესახებ გვაძლევს თუ არა საშუალებას, ჩამოვყალიბდეთ მეწარმედ?* • *თუ გახსენდებათ ლიტერატურული გმირი, რომელსაც შეიძლება, მეწარმე ვუწოდოთ?* • *როგორ გამოვიყენოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში სამეწარმეო კომპეტენციები?* რეკომენდაცია მასწავლებელს: კომპეტენცია განისაზღვრება როგორც ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია, რომლებიც შესაბამის სიტუაციას მიეკუთვნება. საკვანძო კომპეტენციები ხელს უწყობს პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობასა და დასაქმებას. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარება პიროვნულ, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ სფეროებში მოთხოვნებს უზრდის საკვანძო კომპეტენციებს. საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩოს პირველი ვერსია 2006 წელს შეიმუშავა წევრი

		სახელმწიფოების, 2003 წლის ივლისიდან წევრობის კანდიდატი ქვეყნებისა და ევროპული ასოციაციების წარმომადგენელი ექსპერტებით დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფმა. ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ პოლიტიკოსები, პრაქტიკოსები და აკადემიური სფეროს მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიდნენ როგორც ზრდასრულთა, ასევე სავალდებულო განათლებას. სამუშაო ჯგუფში ასევე შედიოდნენ ევროპული მასშტაბის დაინტერესებული მხარეები. სამეწარმეო კომპეტენცია მეწარმეობას განსაზღვრავს როგორც ფართო კომპეტენციას, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს ეხება, კერძოდ: • პირად განვითარებას • აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას • სამუშაო ბაზარზე დასაქმებულის ან თვითდასაქმებულის სტატუსით შესვლას • სარისკო საქმეების წამოწყებას (კულტურული, სოციალური, თუ კომერციული) ევროკომისიამ სამეწარმო განათლების მნიშვნელოვნება პირველად 2003 წელს განიხილა დოკუმენტში მეწარმეობის მწვანე ფურცელი ევროპაში. 2006 წლისთვის ევროკომისიამ „ინიციატივისა და მეწარმეობის უნარი“ გამოავლინა როგორც ერთ-ერთი რვა კომპეტენციაში, რაც აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების წევრებისათვის. 2008 წლის „მცირე ბიზნესის აქტში“ ევროპისთვის, 2012 წლის „განათლების მიმოხილვაში“, 2013 წლის „მეწარმეობის სამოქმედო გეგმა 2020“-ში, ასევე, ევროპის ახალი უნარ-ჩვევების დღის წესრიგში აღნიშნულია საჭიროება სამეწარმეო განათლებისა და სწავლების ხელშეწყობის შესახებ. ამან გამოიწვია ევროპის მასშტაბით ინიციატივების სიუხვე. *დამხმარე ლიტერატურა:* 1. *ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია კომპეტენციების შესახებ. 22 მაისი, 2018 წელი; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ (2018/G 189/01)*
N2 მოსწავლის კომპეტენცია	მეწარმული შესაძლებლობების დიაგნოსტირება მოსწავლის კომპეტენციის გააზრების გზით	მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა არის კომპეტენცია და რა უპირატესობას იძლევა კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება მოსწავლისთვის, მისი მომავალი კარიერული დაგეგმვისთვის, დასაქმებისთვის და ა.შ. აქვე, ინფორმაციას აწვდის მათ კომპეტენციაზე დაფუძნებული განათლების ელემენტების ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შესახებ, განუმარტავს, თუ რა შედეგს იძლევა მათი გააქტიურება თითოეული ადამიანისთვის. მასწავლებელს

ცნობილი მეწარმეების მაგალითები მოჰყავს ქართული და უცხოური გამოცდილებიდან როგორც ქალების, ასევე, მამაკაცების შემთხვევებში; ანალოგიურ მაგალითებს იხსენებენ მხატვრული და ბიოგრაფიული ლიტერატურიდანაც.

თხრობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სამ ჯგუფად ჰყოფს, დავალებას აძლევს და დროს - მის შესასრულებლად. ამ დავალების საფუძველზე:
მოსწავლეების პირველი ჯგუფი ჩამოწერს: **რა თეორიული ცოდნა უნდა ჰქონდეს მეწარმე ადამიანს;**
მეორე ჯგუფი მუშაობს კითხვაზე: **რა უნარები უნდა გააჩნდეს მეწარმეს;**
მესამე ჯგუფი მუშაობს კითხვაზე: **რა დამოკიდებულებები უნდა ჰქონდეს მეწარმეს.**

მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფები სხვადასხვა ფერის მარკერით ავსებენ ფლიფჩარტზე გამოსახულ სქემას, რომელიც თვალსაჩინო ადგილზეა გაკრული.

საბოლოოდ შესავსები სქემა:

ცოდნა	**უნარები**	**დამოკიდებულებები**	**გრადაცია 1 - 5**

სქემის საბოლოო სახით წარმოდგენის შემდეგ, მასწავლებელი მას მოსწავლეებთან ერთად განიხილავს და სთხოვს, კრიტიკულად გაიაზრონ მოცემული კატეგორიების მახასიათებლები. დისკუსიის შემდეგ კი ერთ პატარა სადიაგნოსტიკო ტექნიკას ასწავლის, რომელიც სქემას უკავშირდება. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ თუ ეს მახასიათებლები საკმარისია მეწარმე ადამიანისთვის, თითოეულ მათგანს შეუძლია, გაზომოს საკუთარი შესაძლებლობები.
ცხრილის ბოლოს არის გრადაცია 1-დან 5-მდე. პიროვნული განვითარების დაგეგმვისა და დიაგნოსტიკისთვის მოსწავლეს შეუძლია, საკუთარი შესაძლებლობები ამ გრადაციით დაინახოს. 1 - ყველაზე სუსტი, ხოლო 5 ყველაზე ძლიერს აღნიშნავს. თვითშეფასებისთვის ეს გრადაცია მიუთითებს, რამდენად მეწარმული უნარებით ხასიათდება, რა დონეზე და რაში სჭირდება დახმარება.
როცა მოსწავლე ყველა მახასიათებლის ქულას განსაზღვრავს, შეუძლია, ადვილად დაადგინოს, რა აქვს გამოსასწორებელი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მხრივ და რაშია უპირობოდ ძლიერი.
მასწავლებელი მოსწავლეებს აუცილებლად განუმარტავს, რომ მონაცემები ზედაპირულია, მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანი, - თავად თქვენ მიერ განსაზღვრული, - ობიექტურად აფასებთ და არ ცრუობთ საკუთარ თავთან.

		ეს ინფორმაცია პერსონალურია, მაგრამ თუ რომელიმე მოსწავლეს მისი მონაცემების გასაჯაროება სურს, შეუძლია, პრეზენტაცია გააკეთოს. მეტი წახალისებისა და მოტივაციისთვის, პირველმა, შეიძლება, მასწავლებელმა გამოთქვას აზრი თავის მეწარმულ შესაძლებლობებზე და მერე მოსწავლეებმაც მიბაძონ. რეკომენდაცია მასწავლებელს: კომპეტენცია არის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულება. ახლა განვმარტოთ თითოეული მათგანი: **ცოდნის განმარტება:** ინფორმაციისა და ფაქტების გაგება, ცოდნა, ფლობა; **უნარის განმარტება:** რაიმე ამოცანის მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულების შესაძლებლობა; **დამოკიდებულება:** საგნების, ადამიანების, ჯგუფების და/ან ცნებების დასწავლილი, შედარებით ზოგადი და მყარი დადებითი ან უარყოფითი შეფასება. დამოკიდებულება არის მზაობის ფსიქიკური ან ნერვული მდგომარეობა, რომელიც გამოცდილებით ორგანიზდება და უშუალო ან დინამიკურ გავლენას ახდენს იმაზე, როგორ რეაგირებს ინდივიდი ობიექტებსა და სიტუაციებზე (***გორდონ ოლპორტი***). აქედან გამომდინარეობს ცნება ,,კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება''. რას ნიშნავს ეს? „კონკრეტული როლის, პროფესიის ან კარიერისთვის საჭირო ცოდნის, უნარების, ქცევისა და ატიტუდების დაზუსტების, სწავლისა და დემონსტრირების საჭიროებიდან გამომდინარე (გამოწვეული) განათლება". *იუნესკოს ლექსიკონი* ტრადიციულ და კომპეტენციებს დაფუძნებულ განათლებას შორის ფუნდამენტური განსხვავება ამ მიდგომების განსხვავებულ ფოკუსში გამოიხატება. ტრადიციული განათლება აქცენტს საგანმანათლებლო რესურსებზე (INPUT) აკეთებს - ზუსტი საგნები, საათების რაოდენობა თითოეულ თემაზე და ა.შ. კომპეტენციებს დაფუძნებული განათლება კი - შედეგზე (რის გაკეთებას შეძლებს მოსწავლე სასწავლო პროცესის დასასრულს). აქ შეიძლება, მასწავლებელმა განმარტოს, რომ მეწარმეობაც კომპეტენციაა და აუცილებელია ყველა

		ადამიანისთვის; ისაუბროს სიტყვის ეტიმოლოგიაზეც. ეტიმოლოგია entrepreneurship **ანტერპრენიორობა** , ანუ იგივე **მეწარმეობა,** ფრანგული და გერმანული ენებიდან იღებს სათავეს და „კისრებას'', „ წამოწყებას" ნიშნავს. სამეწარმეო უნარები ყველა ადამიანს სჭირდება. ის მხოლოდ მათთვის არ არის, ვისაც საკუთარი საქმის წამოწყება სურს. ეს უნარები ნებისმიერ ადამიანს მაღალ დონეზე უნდა ჰქონდეს განვითარებული, რათა წარმატებას მიაღწიოს ცხოვრებაში. მიუხედავად ეკონომიკური რყევებისა თუ პიროვნული კრიზისებისა, ასეთი ადამიანი ყოველთვის მოძებნის გამოსავალს. ამიტომ, ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განავითაროს საკუთარი პოტენციალი: განახორციელოს თავისი იმედები, ოცნებები და ნიჭი, იყოს კრეატიული და შეეძლოს დიდი და პატარა გამოწვევების დაძლევა. მეწარმეობის პროგრამაში მონაწილეობით მოსწავლეები წახალისებულნი არიან, აღმოაჩინონ საკუთარი პოტენციალი - რა სურთ რეალურად და პიროვნული ზრდის განწყობა ჰქონდეთ. ადამიანები, რომლებსაც პიროვნული ზრდის სურვილი აქვთ, შეცდომებს ხედავენ როგორც შესაძლებლობას - სცადონ რაღაც ახალი და დარწმუნებულნი არიან, რომ თავიანთი შესაძლებლობების განვითარებას შეძლებენ. მე-19 საუკუნეში იდეალური ტიპური მისაბაძი მაგალითი იყო პატივსაცემი ხელოსანი, მე-20 საუკუნეში - ინდუსტრიული საზოგადოების პროფესიონალი ან ტექნიკური ექსპერტი, 21-ე საუკუნეში წამყვანი ფიგურა თვითმეწარმე ადამიანია, რომელიც შემოქმედებითად აზროვნებს, ნოვატორია და მზად არის რისკებისთვის, შეცდომებზე სწავლისა და გაბედული გადაწყვეტილებების მისაღებად. გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა სამყაროს ცვლილება არაჩვეულებრივი ტემპით, რაც გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, მუშაობასა და სწავლაზე. საზოგადოებაში და ეკონომიკაში ეს დინამიკა სამეწარმეო აზროვნების მეტად განვითარებას მოითხოვს მომავალ თაობაში. მათი მეწარმეობა და ინოვაციები ახალ იმპულსს მისცემს სოციალურ და ადამიანურ განვითარებას, ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას. სამეწარმეო სწავლების პროგრამებს შეუძლიათ, მოამზადონ მოსწავლეები/ახალგაზრდები იმ გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის და შესასრულებლად, რომლებსაც ისინი აწყდებიან პრობლემების გადაჭრითა და ღირებულების შექმნით როგორც ფულადი, ისე სოციალური თვალსაზრისით. მომავლის ყველანაირი შემქმნელი დღეს სკოლაშია და მათი განათლება განსაზღვრავს მათ მონაწილეობას საზოგადოებასა და ეკონომიკაში. სამეწარმეო სწავლება სოციალურ-საგანმანათლებლო პერსპექტივას გვთავაზობს. ეს არის მიდგომა, რომელიც შეიძლება, ღია შემოსავლის გენერირება და

		სხვა შესაძლებლობები იყოს საზოგადოების არახელსაყრელი ჯგუფებისთვის. სამიზნე ჯგუფის კონტექსტური და პიროვნული გამოწვევების გააზრება მნიშვნელოვანია მეწარმეობის პროგრამის შემუშავებისთვის. მეწარმეობა, ასევე, არის გზა, ისწავლო თვითდაჯერებულობა და ის, თუ როგორ მივიღოთ მონაწილეობა საზოგადოებასა და ეკონომიკაში. ადამიანებს შეუძლიათ, საზოგადოება მცირე და დიდი ინიციატივებით შეცვალონ. სოციალური მეწარმეები და ცვლილებების შემქმნელები ცდილობენ პრობლემების გადაჭრას; ცდილობენ, დააკმაყოფილონ თავიანთი საზოგადოებისა და პლანეტის საჭიროებები და მათი პროდუქტებისა და სერვისების დახმარებით შეამსუბუქონ მტკივნეული წერტილები. მეწარმეობის პროგრამებში მონაწილეობით, მოსწავლეები არა მხოლოდ ემზადებიან საკუთარი მომავლის შესაქმნელად, არამედ ისინი მზად არიან - შეცვალონ საზოგადოება და სამყარო. მეწარმეობა სხვადასხვა სახისაა: ➢ შიდა კორპორაციული მეწარმეობა ➢ სოციალური მეწარმეობა ➢ მწვანე მეწარმეობა ➢ ციფრული მეწარმეობა **დამხმარე ლიტერატურა:** 1. ეკა გეგეშიძე - ,,მეწარმეობა, როგორც სწავლების მეთოდი''; ჟურნალი ,,4 მოტივი'' 2. ემილ ავდალიანი - ,,ქართული მეწარმეობის ისტორიიდან (XIX-XX სს. მიჯნა); თბილისი 2018, გამომცემლობა ,,მერიდიანი''
N3 არამეწარმე მეწარმეები	მეწარმეობის უნარების დანახვა და გაანალიზება ლიტერატურული პერსონაჟების მაგალითზე	მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ამონარიდებს, სადაც არამეწარმე პერსონებია აღწერილი ცნობილი მხატვრული ნაწარმოებებიდან (მასწავლებელს შეუძლია, ნაწარმოებები სავალდებულო ლიტერატურიდანაც შეარჩიოს) და აძლევს ინსტრუქტაჟს: ამოიცანით პერსონაჟებში სამეწარმეო კომპეტენციები და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ, რატომ არის ამ კომპეტენციის განვითარება მნიშვნელოვანი ზოგადი წარმატებისთვის. **ჯგ. 1: ,,მაგდანას ლურჯა''** **ჯგ. 2: ,,ოთარაანთ ქვრივი''**

		თითოეული ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი სავარჯიშოს აჯამებს და აქცენტს სამეწარმეო კომპეტენციების აღმოჩენასა და განვითარებაზე აკეთებს. შემდეგ კი მოსწავლეებს სთავაზობს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება: 1. *გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება „მაგდანას ლურჯასა" და „ოთარაანთ ქვრივში" ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე;* 2. *თქვენი აზრით, რა თვისებები განაპირობებს მაგდანას ინკლუზიურობას (თემში სარგებლობს ავტორიტეტით, ყველა მისგან ყიდულობს მაწონს და სხვ.) და რომელია აქედან მეწარმეობისთვის აუცილებელი?* 3. *შეადარეთ ერთმანეთს მაგდანა და ოთარაანთ ქვრივი სოციალური უნარების მიხედვით - მოძებნეთ მსგავსება და განსხვავება;* 4. *როგორ ფიქრობთ, რომელი იქნებოდა უფრო გლობალური მოქალაქე - მაგდანა თუ ოთარაანთ ქვრივი?* 5. *თუ პერსონაჟი გლობალური მოქალაქეობისთვის დამახასიათებელი თვისებებით გამოირჩევა, შესაძლებელია თუ არა, ნაწარმოები კლასიკურად ჩაითვალოს და ეპოქალური მნიშვნელობის გახდეს?* *მოსწავლეების მოსაზრებებს მასწავლებელი ყურადღებით ისმენს და ჩასაძიებლად სვამს კითხვებს: რა მიაჩნიათ მათ ღირებულებად, ფასეულობად, რა შეხედულებები აკავშირებთ მატერიალურ მდგომარეობასთან და ა.შ.* მოსწავლეების აზრის მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი იწყებს დისკუსიას: ***„მაგდანა თუ ოთარაანთ ქვრივი?"*** მოსწავლეები ლიტერატურულ გმირებს ერთმანეთს ადარებენ და გამოყოფენ, რომელია უკეთესი მეწარმე, მოქალაქე, ემპათიური, ობიექტური, სამართლიანი და ა.შ.; მოჰყავთ არგუმენტები და საკუთარი შეხედულების დასაბუთებას ცდილობენ. რეკომენდაცია მასწავლებელს: აქ მასწავლებელს შეუძლია, სამუშაოს შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს დაანახოს მაგდანასა და ოთარაანთ ქვრივის პიროვნული თუ მეწარმული მახასიათებლები, კერძოდ: შრომისმოყვარეობა, ენერგიულობა, მიზანდასახულობა, გაბედულება, მოვლენების წინასწარ განჭვრეტა, სწორი დაგეგმვა, შეუპოვრობა და ა.შ. აქვე, ეს მახასიათებლები მასწავლებელმა შეიძლება, გამოიყენოს საუკეთესო მოქალაქის სახის შესაქმნელად, დაამატოს თვისებები, განიხილოს და მოსწავლეებთან ერთად გააანალიზოს.

N4 ენტრეკომპის ჩარჩო	მეწარმეობის არსისა და ენტრეკომპის ჩარჩოს სიღრმისეულად გაცნობიერება	მასწავლებელი წინა აქტივობას, კერძოდ, პერსონაჟების მახასიათებლებს მეწარმეობასთან აკავშირებს და მოსწავლეებს უხსნის, რომ ჩარჩო, რომელსაც ენტრეკომპს ვეძახით, თავად მეწარმეობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ჩარჩოს სამი მიმართულება და 15 დესკრიპტორი აქვს; უხსნის, რომ შემდეგ დავალებაში ზუსტად ამ სამი მიმართულების მახასიათებელი უნდა ამოარჩიონ 15-დან. მასწავლებელი მოსწავლეებს სამ ჯგუფად ჰყოფს და თითოეულ ჯგუფს თითო მიმართულებას და 15 დესკრიპტორს აძლევს. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი მახასიათებელი ეკუთვნის მათ მიმართულებას და თავიანთი მოსაზრებები სხვა ჯგუფებს გაუზიარონ პრეზენტაციის დროს. **ჯგუფი I - იდეებისა და შესაძლებლობების სფერო** **ჯგუფი II - რესურსების სფერო** **ჯგუფი III - მოქმედებაში ტრანსფორმაციის სფერო** მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი საშულებას აძლევს თითოეულ ჯგუფს, გააკეთონ პრეზენტაცია და წარმოადგინონ თავიანთი მიმართულებები. პრეზენტაციების დასრულების შემდეგ, მასწავლებელს სლაიდზე/ფლიფჩარტზე ენტრეკომპის სწორი ვერსია გამოაქვს. ჯგუფები შესრულებულ ნამუშევრებს სწორ ვერსიას ადარებენ და აღნიშნავენ, სად დაუშვეს შეცდომა. 

		შედარების შემდეგ მოსწავლეები, მასწავლებლის დავალებით, დესკრიპტორებთან მიმართებით განიხილავენ მაგდანას, ნაფნაფის და ოთარაანთ ქვრივის მახასიათებლებს; ერთმანეთს ადარებენ და დასკვნები გამოაქვთ, თუ რომელი პერსონაჟი ხასიათდება უფრო მეტი მეწარმული თვისებებით, რომელი იქნებოდა უკეთესი მეწარმე, რა უპირატესობა აქვს ერთს მეორესთან, მესამესთან და ა.შ. შედარებით. გააზრების შემდეგ, შეჯამების მიზნით, მასწავლებელი ენტრეკომპის ბორბლის ელემენტებს ხსნის. მოსწავლეებს მოუთხრობს, რომ სამეწარმეო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო ენტრეკომპი სამი ელემენტისგან შედგება - იდეები და შესაძლებლობები, რესურსები და მოქმედება - ანუ იდეების განხორციელება. ადრე, ევროპაშიც და დღესდღეობით, საქართველოშიც, მთელი აქცენტი მეწარმეობის სწავლებისას თუ სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებისას, რესურსების მართვისკენ იყო/არის მიმართული. ადრე, ბევრ ქვეყანაში ბიზნეს გეგმის შედგენა მეწარმეობის ამოსავალ წერტილად მიაჩნდათ და ამიტომ სასწავლო მოდულები, განათლების სხვადასხვა საფეხურზე, სწორედ ამაზე იყო ორიენტირებული. ამის გამო, ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და პროექტის მართვა, უგულებელყვეს. არადა, სამეწარმეო უნარები ყველა ადამიანს სჭირდება. ის არ არის მხოლოდ მათთვის, ვისაც საკუთარი საქმის წამოწყება სურს. ეს უნარები ნებისმიერ ადამიანს მაღალ დონეზე უნდა ჰქონდეს განვითარებული ცხოვრებაში. მიუხედავად ეკონომიკური რყევებისა თუ პიროვნული კრიზისებისა, ასეთი ადამიანი ყოველთვის მოძებნის გამოსავალს წარმატების მისაღწევად. მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ მეწარმეობა არის იდეაც და მნიშვნელობა არ აქვს, ამ იდეას განახორციელებ თუ არა, რადგან მისი შექმნა შემოქმედებითი პროცესია თავისთავად, ხოლო ნაყოფი - იდეის დაბადება. თუმცა, რეალურ სამყაროში, სასურველია, იდეა რეალობად იქცეს. შეჯამების შემდეგ, მოსწავლეების კიდევ უფრო მეტად დასაფიქრებლად, მასწავლებელი სვამს კითხვებს: • *ენტრეკომპის ბორბალზე განთავსებული დესკრიპტორები საგნები რომ იყოს, რომელს ჩაატარებდით?* • *როგორ შეიძლება, ენტრეკომპის ჩარჩო გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში?*

		• *გამოგადგებათ თუ არა ეს მახასიათებლები ცხოვრებაში დასაქმების ან თვით დასაქმებისთვის?* • *განსაზღვრავს თუ არა ეს მახასიათებლები გლობალური მოქალაქის ცნებას? გთხოვთ, მოიტანოთ არგუმენტები.* **რეკომენდაცია მასწავლებელს:** აქ მასწავლებელი აკეთებს შესავალს, რომ სამეწარმეო კომპეტენციას განსაზღვრავს სამეწარმეო (ენტრეკომპის) ჩარჩო, რომელიც მეწარმისთვის დამახასიათებელ ყველა კომპეტენციას მოიცავს. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ, გაკვეთილის შეჯამებისას, მასწავლებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანებს შეუძლიათ, საზოგადოება შეცვალონ მცირე და დიდი ინიციატივებით. სოციალური მეწარმეები და ცვლილებების შემქმნელები პრობლემების გადაჭრას ცდილობენ; ცდილობენ, დააკმაყოფილონ თავიანთი საზოგადოებისა და პლანეტის საჭიროებები და თავიანთი პროდუქტებისა და სერვისების დახმარებით შეამსუბუქონ მტკივნეული წერტილები. მეწარმეობის პროგრამებში მონაწილეობით, მოსწავლეები არა მხოლოდ საკუთარი მომავლის შესაქმნელად ემზადებიან, არამედ საზოგადოებისა და სამყაროს შესაცვლელადაც არიან მზად.

საშინაო დავალება		***მასწავლებელი მოსწავლეებს დავალებას აძლევს:*** *რეალური ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით, 2-3 წთ-იანი (ნაკლებიც) Tik-Tok-ის მეშვეობით გააცოცხლონ 15-დან ერთი (მისთვის საინტერესო) დესკრიპტორი ენტრეკომპის ბორბლიდან - შექმნან პატარა სცენარები და 2-3 წთ-იანი ვიდეო გადაიღონ.* ***სცენარის ნიმუში 1:*** *მაგ.* ***სხვების მობილიზება*** *- მოსწავლემ შეიძლება, გადაიღოს, როგორ განაწყობს თავის მეგობრებს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩასართავად. 2 წთ-იან ვიდეოში უნდა ჩანდეს, რა სიტყვებით მიმართავს ის თავის მეგობრებს, რომ მობილიზება გაუკეთოს.* ***სცენარის ნიმუში 2:*** *მაგ.* ***კრეატიულობა*** *- მოსწავლემ შეიძლება, გადაიღოს ვიდეო, მისი მეგობრებიდან რომელი ჩამოაყალიბებს ყველაზე კრეატიულ იდეას; მაგ. რესურსის შექმნაზე ქართულში ან სამოქალაქო განათლებაში; მოსწავლე ასახელებს სიტყვას (მაგ. დემოკრატია, გლობალიზაცია, რეალიზმი და სხვ.), ხოლო წრეზე დამსხდარი მოსწავლეები (4-5 ან მეტი) სათითაოდ ასახელებენ რესურსის იდეას შერჩეულ სიტყვასთან კავშირში.* ***სცენარის ნიმუში 3:*** *მაგ.* ***დაგეგმვა და მართვა*** *- მოსწავლეს შეუძლია, გადაიღოს ვიდეო, როგორ გეგმავს ექსკურსიას ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ან სხვაგან, ნებისმიერ ადგილზე.* ***გასათვალისწინებელია:*** *ყველა ვიდეო მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს და მოქმედებით, ჟესტებით ან ძალიან მცირე წინადადებების საშუალებით გამოხატავდეს იდეას, რაზეც ვიდეო იქმნება.* ***რეკომენდაცია მასწავლებელს:*** საშინაო დავალებაში მითითებულია პატარა სცენარები ნიმუშის სახით. მასწავლებელს შეუძლია, ისინი მხოლოდ ნიმუშად გააცნოს ბავშვებს და სთხოვოს, ანალოგიური სცენარები შექმნან იმ მახასიათებლებზე, რომლებიც ენტრეკომპის ბორბალზეა ჩამოთვლილი. ვიდეო შეიძლება, იყოს 3 წთ-იანი, ან ნაკლები ან მცირედით მეტი. მთავარია, მოსწავლეებმა დაგვანახონ გაშინაარსებული მახასიათებლები/დესკრიპტორები, რათა მათი შინაარსი კიდევ უკეთ განსაზღვრონ და ღრმად ჩასწვდნენ მათ არსს. აქვე, დანართის სახით მოცემულია საშინაო დავალების შეფასების სქემა, რომელიც 8 კრიტერიუმითაა წარმოდგენილი. კრიტერიუმების გრადაცია 1-დან 3-ის ჩათვლითაა. 1 ყველაზე დაბალს აღნიშნავს, 3 - ყველაზე მაღალს. ნამუშევარი იმ მოსწავლეს ეთვლება, რომელსაც შეფასება ექნება 9 და მეტი ქულა. შეფასების მაქსიმალური ქულაა 24. მასწავლებელს შეუძლია, კლასის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე, გაამარტივოს ან გაართულოს შეფასების სქემა.

სამოქალაქო განათლება:

თემის ფარგლებში განიხილება გლობალური მოქალაქეობა

ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

საზოგადოება - მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ადამიანის პიროვნული განვითარებისა და გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის არსებითი ფაქტორების (იდენტობა, თვითრეფლექსია, თვითმართვა, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარი, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებლობა) გაანალიზება

დემოკრატია:

ადამიანის სოციალური უნარებისა და გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების (პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა) დამოკიდებულება დემოკრატიის პრინციპებთან

ქართული:

თემის ფარგლებში განიხილება:

რეალიზმი - რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, სახასიათო ჟანრები; რეალისტური ნაწარმოებების პერსონაჟი, ტიპობრივი პერსონაჟი; კომპლექსური ურთიერთობები რეალისტური კონცეფციის გმირებს/პერსონაჟებსა და საზოგადოებას შორის

გაკვეთილი ყველა სამიზნე ცნებას ააქტიურებს. ეს ინდიკატორები შედეგის დასადგენად გამოიყენება:

სამიზნე ცნება

1. **კონტექსტი**:

- მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის, ასევე, ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციის გააზრება ტექსტის თანადროული ეპოქის კონტექსტში;
- მსჯელობა ტექსტზე, მისი შეფასება თანამედროვეობის გადასახედიდან.

სამიზნე ცნება

2. **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები:**

- ტექსტებში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების შეფასება მათი ეფექტიანობის, მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით.

სამიზნე ცნება

3. **კომპოზიცია:**

- ნაწარმოების გაანალიზება კომპოზიციის ელემენტებზე დაკვირვების მეშვეობით, მსჯელობა კომპოზიციის ელემენტებზე მათი ურთიერთკავშირის წარმოჩენით;
- ტექსტების შედარება კომპოზიციის ელემენტების კუთხით, მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენა, მსჯელობა, სხვადასხვა პერსპექტივიდან ინტერპრეტირება და დასკვნების გამოტანა.

სამიზნე ცნება

4. **ჟანრი:**

- სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესწავლა-დამუშავება, ცალკეული ჟანრის დანიშნულებისა და არსობრივი მახასიათებლების განსაზღვრა; მსჯელობა ერთი რომელიმე ჟანრისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებზე.

მიღწეული შედეგების ინდექსი:

1. ქართ. საშ.1 , 2, 3, 4,

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:**	**სამიზნე ცნებები**
ქართ.საშ.1	ჟანრულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მთავარი იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟების, მხატვრული ხერხების) ცოდნის გამოყენება წაკითხული ნაწარმოების კრიტიკულად გაანალიზებისა და ინტერპრეტირებისთვის, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებისთვის.	**ჟანრი** (ქართ.საშ.1,4,6,7) **კომპოზიცია** (ქართ.საშ.1,3,4,6,7) **ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები** (ქართ.საშ.4,6,7) **კონტექსტი** (ქართ.საშ.2,5)
ქართ.საშ.2	ნაწარმოების აღქმა-გააზრება კონტექსტური ფაქტორების (მაგ., ავტორის ბიოგრაფიის, სოციო-ისტორიულის) ცოდნის გამოყენებით და მისი ინტერპრეტირება როგორც შექმნის თანადროული ეპოქის, ისე თანამედროვეობის ჭრილში	
ქართ.საშ.3	საკუთარი პოზიციისა თუ დამოკიდებულებების წარმოსაჩენად ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების გამოყენება მათში ასახულ პრობლემატიკაზე, ფასეულობებსა და შეხედულებებზე მსჯელობის გზით	
ქართ.საშ.4	ამა თუ იმ ეპოქასა ან/და კულტურაში შექმნილი ნაწარმოებების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებების ანალიზი მათი საერთო მახასიათებლებისა თუ სპეციფიკურობის/უნიკალურობის გამოსაკვეთად	
ქართ.საშ.5	ერთსა და იმავე ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის ერთმანეთთან შედარება ტექსტის განსხვავებული პერსპექტივების/მიდგომების ჭრილში შესაფასებლად	
ქართ. საშ.6	სხვადასხვა ფორმატის, ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა ამა თუ იმ მიზნით (მაგ., ტექსტის ანალიზის შედეგების წარმოსაჩენად, თვითგამოხატვისთვის, განწყობილებების, შთაბეჭდილებების, ემოციების გადმოსაცემად)	
ქართ.საშ.7	ტექსტების შედგენისას ჟანრულ-კომპოზიციური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (მაგ., მსჯელობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურის, სინტაქსური კონსტრუქციების, მხატვრული ენის, სტილის ელემენტების) მიზნის შესაბამისად გამოყენება (მაგ., ტექსტის ინტერპრეტირებისას, შემოქმედებითი წერისას)	

საშინაო დავალების შეფასების სქემა

კრიტერიუმი	1	2	3
ვიდეოს სცენარი სამეწარმეო კომპეტენციის ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის გაშინაარსებას პასუხობს	ვიდეოს სცენარი სრულიად ვერ პასუხობს სამეწარმეო კომპეტენციის ერთი მახასიათებლის გაშინაარსებასაც კი	ვიდეოს სცენარი მცირედით პასუხობს სამეწარმეო კომპეტენციის ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის გაშინაარსებას	სცენარი სრულყოფილად პასუხობს სამეწარმეო კომპეტენციის ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის გაშინაარსებას
შექმნილი მასალა ორიენტირებულია სამეწარმეო კომპეტენციების მახასიათებლის გაგება-გააზრებაზე	შექმნილი მასალა არ არის ორიენტირებული სამეწარმეო კომპეტენციების მახასიათებლის გაგება-გააზრებაზე	შექმნილი მასალა მეტ-ნაკლებად ორიენტირებულია სამეწარმეო კომპეტენციების მახასიათებლის გაგება-გააზრებაზე	შექმნილი მასალა სრულად ორიენტირებულია სამეწარმეო კომპეტენციების მახასიათებლის გაგება-გააზრებაზე
ნამუშევარში ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება	ნამუშევარში არ ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება	ნამუშევარში ასე თუ ისე იკვეთება მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება	ნამუშევარში მკაფიოდაა გამოკვეთილი მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნება
ნამუშევარი პასუხობს მეწარმეობისა და სასწავლო პროცესის მიმართებებს	ნამუშევარი ვერ პასუხობს მეწარმეობისა და სასწავლო პროცესის მიმართებებს	ნამუშევარი მცირედით პასუხობს მეწარმეობისა და სასწავლო პროცესის მიმართებებს	ნამუშევარი სრულად პასუხობს მეწარმეობისა და სასწავლო პროცესის მიმართებებს
ნამუშევარში ჩანს მეწარმეობის კომპეტენციის მნიშვნელობა 21-ე საუკუნის ადამიანისათვის	ნამუშევარში არ ჩანს მეწარმეობის კომპეტენციის მნიშვნელობა 21-ე საუკუნის ადამიანისათვის	ნამუშევარში ნაკლებად ჩანს მეწარმეობის კომპეტენციის მნიშვნელობა 21-ე საუკუნის ადამიანისათვის	ნამუშევარში სრულყოფილად იკვეთება მეწარმეობის კომპეტენციის მნიშვნელობა 21-ე საუკუნის ადამიანისათვის
გადაღებულ მიმდინარე პროცესებში გოგოებიცა და ვაჟებიც თანაბრად მონაწილეობენ	ნამუშევარში არ ჩანს გადაღების პროცესში გოგოებისა და ვაჟების თანაბრად მონაწილეობა	ნამუშევარში მეტ-ნაკლებად თანაბრად იკვეთება გადაღების პროცესში გოგოებისა და ვაჟების მონაწილეობა	ნამუშევარში დაცულია გენდერული ბალანსი და გადაღების პროცესში გოგოებისა და ვაჟების თანაბარი მონაწილეობა იკვეთება
ნამუშევარი მოსწავლეთა თანამ-შრომლობის საშუალებას იძლევა	ნამუშევარში არ ჩანს მოსწავლეთა თანამშრომლობა	ნამუშევარში მცირედაა წარმოდგენილი მოსწავლეთა თანამშრომლობა	ნამუშევარში ჩანს მოსწავლეთა თანამშრომლობა
დავალების შესრულების ეთიკური მხარე დაცულია[1]	მიმდინარე დავალების შინაარსი შეიცავს პლაგიატს	მიმდინარე დავალების შინაარსის მეტი წილი პლაგიატს შეიცავს	მიმდინარე დავალების შინაარსი არ შეიცავს პლაგიატს